როგორ უწყობს ხელს მუნიციპალიტეტის მხრიდან მომსახურების შესყიდვა ("აუთსორსინგი") დასაქმებას ადგილობრივ დონეზე

მაგისტრანტი მარტა ბიბილაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი არჩილ აბაშიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023 წელი

ანოტაცია

ქართული საჯარო სექტორი, როგორც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი განმსაზღვრელი 30 წლის მანძილზე ცდილობს განვითარებას. ქვეყნისათვის ძალიან რთულია პოსტ-საბჭოთა მარწუხებიდან გათავისუფლება, ხშირ შემთხვევაში საჯარო ადმინისტრირებისას ბიუროკრატიის უარყოფითი ელემენტების მავნე ნაკვალევის აღმოფხვრა და შედარებით ახალი თეორიების შესაბამისი პრაქტიკების დანერგვა. ან შედარებით მოძველებული თეორიებიდან იმ პრაქტიკების შენარჩუნება, რომელიც პასუხობს ქვეყნის გამოწვევებს და მის ვალდებულებებს საერთაშორისო თუ ეროვნულ დონეზე ნაკისრ ვალდებულებებთან მიმართებაში.

სახელმწიფო გეგმავს გარკვეულ რეფორმებს და საჯარო სერვისების მიწოდებაში აქტორებად შემოჰყავს სხვადასხვა უწყება, თუმცა აღნიშნული აქტორების ქმედებები ემგვანება „სილოსის“ (Silos) ტიპის ორგანიზაციულ მართვას რომლის დროსაც უწყებები არ აერთიანებენ ძალებს საერთო მიზნის მისაღწევად, მუშაობენ ფრაგმენტულად და რა თქმა უნდა, შედეგი სასურველ დროში არ დგება.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს მცდელობას, მოხდეს ძველი გამოწვევების შედარებით ახალი პერსპექტივით შესწავლა, გვთავაზობს არსებულ მექანიზმებს და შესაძლო პერსპექტივებს ანალიზს საკვლევ თემასთან მიმართებაში. ხდება იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რაც აფერხებს სასურველი შედეგის მიღებას, ქვეყნისთვის ერთ-ერთ უმწვავეს პრობლემაზე რასაც უმუშევრობა ჰქვია. კვლევაში შემოთავაზებულია ახალი საჯარო მენეჯმენტის დამახასიათებელი ელემენტი, როგორც პრობლემის მოგვარების კლასიკური მეთოდის ალტერნატივა და გვთავაზობს უკვე არსებული მეთოდებს, რომელთა ეფექტიანობის შესწავლა სათანადოდ არ მომხდარა.

კვლევა მოიცავს ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ნამუშევრების მეორეულ ანალიზს, თვისებრივი მონაცემების შეგროვების მიზნით და ასევე პირველად, რაოდენობრივ მონაცემებს ერთობლიობას, რაც უზრუნველყოფს საკვლევ

თემასთან მიმართებაში არსებული ჰიპოთეზის დადასტურებას. კვლევის საყრდენ თეორიულ ჩარჩოდ გამოყენებულია ახალი საჯარო მენეჯმენტის თეორია.

Abstract

Georgian public sector, as the main determinant of the socio-economic policy of the country, has been trying to develop for already 30 years. It is very difficult for the country to get rid of the post-Soviet burdens. In some cases, to eliminate the harmful traces of the negative elements of bureaucracy in public administration and to introduce practices corresponding to relatively new theories or to preserve from relatively outdated theories the practices that are relevant for the country's challenges and its responsibilities in relation to obligations assumed at international or natianl level.

The state is planning certain reforms and introducing various agencies as actors in the provision of public services, however, the actions of the aforementioned actors are similar to "silos" type of organizational management, in which agencies do not unite forces to achievea common goals, their work is fragmented and, of course, the results do not come in the desired time.

This paper is an attempt to examine old challenges with a relatively new perspective, offering an analysis of existing mechanisms and possible perspectives in relation to the research topic. The factors that hinder the achievement of the desired result, to one of the most acute problems for the country, unemployment, are being identified. The research proposes a characteristic element of new public management as an alternative to the classical method of problem solving and suggests already existing methods, the effectiveness of which has not been properly studied.

The research includes a secondary analysis of local and international scientific works, in order to collect qualitative data, and also a combination of primary, quantitative data, which provides confirmation of the existing hypothesis in relation to the research topic. The theory of new public management is used as the theoretical framework of the research.